20.05.2014

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2014 წლის I კვარტალი
(წინასწარი მონაცემები)

2014 წლის წინასწარი მონაცემებით, I კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 414 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის I კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.8 პროცენტით აღემატება. აქედან ფურის სულადობამ 647 ათასი შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2.6 პროცენტით გაიზარდა და 996 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 192 ათასი სული იყო, რაც 37.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2014 წლის I კვარტალის ბოლოსათვის ფრინველის რაოდენობამ 7 444 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 12.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი კვარტალის მაჩვენებელს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე ფრინველის რაოდენობა 2007-2014 წლების I კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2007-2014 წლების I კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ცხვრისა და თხის სულადობა 2007-2014 წლების I კვარტალის ბოლოსთვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2007-2014 წლების I კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ფრინველის სულადობა 2007-2014 წლების I კვარტალის ბოლოსათვის (ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის I კვარტალში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, რძის წარმოება 4.9 პროცენტით გაიზარდა და 107.2 მლნ. ლიტრი შეადგინა. ხორცის წარმოება 7.0 ათასი ტონა იყო, რაც 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5.4 პროცენტით ნაკლებია. 2014 წლის I კვარტალში კვერცხის წარმოებამ 120.4 მილიონი ცალი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე კვარტალის მაჩვენებელზე 1.4 პროცენტით ნაკლებია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2007-2014 წლების I კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2007-2014 წლების I კვარტალში (მლნ. ლიტრი)



* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2007-2014 წლების I კვარტალში (დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2007-2014 წლების I კვარტალში (მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2013-2014 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2013-2014 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2013*				2014*
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 242.2	1 310.2	1 248.0	1 238.6	1 413.6
მათ შორის ფური და ფურ-კამეჩი	587.5	588.3	594.5	599.6	647.2
ღორი	308.2	311.2	330.6	216.7	192.4
ცხვარი და თხა	970.8	980.1	882.1	767.3	996.2
ფრინველი (ათასი ფრთა)	6 606.9	10 476.9	8 239.7	6 511.1	7 443.6

* წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2013-2014 წლებში

	2013*				2014*
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	7.4	9.8	9.0	16.3	7.0
რძე (მლნ. ლიტრი)	102.2	197.1	181.7	101.5	107.2
კვერცხი (მლნ. ცალი)	122.1	125.2	100.3	115.1	120.4

* წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge